





საბაზისო კურსი
პაროდონტოლოგიაში



Basic course in Perio

ინფორმაცია საბაზისო კურსის შესახებ:

საბაზისო პაროდონტოლოგიური ტრენინგები გულისხმობს ინტერაქტიულ კურსს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პაროდონტის ქსოვილთა ანატომია-ჰისტოლოგიაზე, პაროდონტის დაავადებათა გამომწვევ ძირითად თუ დამხმარე ეტიოლოგიურ ფაქტორებზე, რისკ-ფაქტორებზე, ჯანმრთელი თუ დაავადებული პაროდონტის ქსოვილების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე. კურსი ორიენტირებულია მსენელებზე, რომ მაქსიმალურად მიიღონ ის უნარები, რომლებსაც შემდგომ დანერგავენ და გამოიყენებენ ყოველდღიურ პრაქტიკაში. საბაზისო კურსი საინტერესოა თერაპევტების, ორთოპედების, ორთოდონტების, ქირურგებისა და რეზიდენტებისთვის. კურსის განმავლობაში მონაწილეები საკუთარი ხელით იმუშავენ მოდელებზე, იხილავენ თემატურ ვიდეოებს, განიხილავენ კლინიკურ ამოცანებსა და იმსჯელებენ მასზე.

საბაზისო პაროდონტოლოგიური კურსის გავლის შემდეგ მსმენელები შეძლებენ დამოუკიდებლად დასვან სწორი დიანოზი 2018 წლის ახალი კლასიფიკაციის მიხედვით და დაავადების არსებობის შემთხვევაში უმკურნალონ პაროდონტის ქსოვილებს 2020 წლის პაროდონტიტის მკურნალობის ახალი გაიდლაინის მიხედვით, საჭიროებისამებრ-კონსერვატიული და ქირურგიული გზით.

N	შინაარსი	ხანგრძლივობა
1	პაროდონტის ქსოვილების ანატომია: ქსოვილთა განსაზღვრება, ღრძილის მიკროანატომია, მისი მნიშვნელობა პაროდონტის ქსოვილთა დაავადების განვითარებაში, ვარდისფერი ესთეტიკის მიღწევა, ორთოპედიული სამუშაოს დროს. სუპრაკრისტალურად მიმაგრებული ქსოვილები- გასათვალისწინებელი კლინიკური პარამეტრი, ორთოპედიული თუ თერაპიული მკურნალობის დროს. პერიოდონტი - პერიოდონტისა და პერიიმპლანტის ქსოვილების შედარება, მსგავსება და განსხვავება. დუღაბი, მისი როლი კბილ-ღრძილოვან შეერთებაში. ალვეოლური ძვლის ტიპები. ოსტეოკლასტების როლი ძვლის რემოდელირებასა და პაროდონტიტის განვითარებაში. ღრძილის ბიოტიპების განსაზღვრა, მისი როლი პაროდონტის დაავადებების მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრაში. პრაქტიკული მეცადინეობა: სიტუაციური ამოცანების განხილვა	5 საათი
2	პაროდონტის დაავადებათა ეტიოლოგია და პათოგენეზი: ძირითადი ეტიოლოგიური ფაქტორები. რისკ-ფაქტორების გავლენა პაროდონტის ქსოვილზე და მათი პრევენციის გზები. ბიოაპკის ფირმირება, ზრდა. ბაქტერიების გავლენა და მოქმედების მექანიზმი პაროდონტის ქსოვილებზე. მტკიცებითი მედიცინა: ანტიბიოტიკების თუ ანტიბაქტერიული საშუალებების გავლენა ბაქტერიულ ბიოაპკზე. მაკროორგანიზმის იმუნური სისტემის როლი დაავადების განვითარებაში. პაროდონტის ქსოვილთა დაზიანების მექანიზმი და ფაზები. პრაქტიკული მეცადინეობა: სიტუაციური ამოცანების განხილვა	5 საათი

3	პაროდონტის ქსოვილთა გამოკვლევა: ბაზისური პაროდონტოლოგიური კვლევა BPE , ფანტომზე კბილის 6 წერტილში ზონდირება, რენტგენოდიაგნოსტიკა, 3D კომპიუტერული ტომოგრაფიის გარჩევა. როდის გვჭირდება CT კვლევა. რენტგენოლოგიური კვლევის მნიშვნელობა პაროდონტიტის დიაგნოსტიკაში. CAL მაჩვენებლის განსაზღვრის მნიშვნელობა პაროდონტის ქსოვილთა დესტრუქციის ხარისხის დასადგენად. რეცესიის გაზომვა. კბილების მორყევა - არის თუ არა პირდაპირი ჩვენება კბილების ექსტრაქციის. ფურკაციების განსაზღვრა. პრაქტიკული ნაწილი: ელექტრონული რუქის შედგენა Florida probe სისტემით. პაროდონტული რუქის შევსება ხელით.	6 საათი
4	ახალი კლასიფიკაციის მიხედვით ჯანმრთელი პაროდონტის და გინგივიტის განსაზღვრება. რა შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ პაროდონტს ჯანმრთელი? პრაქტიკული ნაწილი: კლინიკური შემთხვევების განხილვა, მსჯელობა.	5 საათი
5	GBT(guided biofilm therapy) - პროფესიული წმენდის შვეიცარული პროტოკოლი, სტანდარტული წმენდა VS GBT . აირ- ჭავლური აპარატების დახასიათება, გამოყენების თავისებურებები, ჩვენებები- უკუჩვენებები. აირ- ჭავლის ფხვნილების დახასიათება, მათი გამოყენების ჩვენებები კლინიკური სიტუაციების მიხედვით. ულტრაბგერის ტიპები, მათი დახასიათება, ულტრაბგერის თავების დახასიათება, სწორად გამოყენების თავისებურებები, ღრძილზე და ღრძილქვეშა ბიოაპკის მოცილების სწორი მენეჯმენტი. გინგივიტის მკურნალობა. პრაქტიკული მეცადინეობა: EMS Master Piezon-ით GBT- პროტოკოლის პირის ღრუში მუშაობა.	6 საათი
6	პირის ღრუს მოვლის ინდივიდუალური საშუალებები. სახლის დანიშნულება. მტკიცებითი მედიცინის განხილვა. ეფექტური ანტიბაქტერიული საშუალებები. ITOP-პირის ღრუს პროფილაქტიკის ინდივიდუალური ტრენინგი. (ტრენერი : თათია როხვაძე)	6 საათი
7	პაროდონტიტი! როგორ დავსვათ სწორი დიაგნოზი ახალი კლასიფიკაციის მიხედვით! მორყეული კბილების შინირება. შინირების გზები , ჩვენებები და გამოსაყენებელი მასალების განხილვა. პრაქტიკული მეცადინეობა: სიტუაციური ამოცანების განხილვა, მსჯელობა, დიაგნოზის დასმა. მოდელზე კოფერდამის სისტემის ჩასმა, შინირებისთვის კბილების მომზადება .შინირება მეტალის და მინაბოჭკოს ლენტის გამოყენებით. (ტრენერი: ნათია რობაქიძე)	6 საათი
8	პაროდონტიტის მკურნალობის გეგმის შედგენა , პროგნოზების ცხრილის შევსება კლინიკური შემთხვევების მიხედვით. პაროდონტიტის მკურნალობა ახალი (2020 წლის) გაიდლაინის მიხედვით. მკურნალობის დროს გამოყენებული ხელის და ელექტრული ინსტრუმენტების დახასიათება, მათი უპირატესობა თუ გამოყენების თავისებურებების გაანსაზღვრა. კიურეტების აღწერა, მოვლა, გალესვა.	6 საათი

	მტკიცებითი მედიცინის განხილვა, მკურნალობის დროს გამოყენებული მედიკამენტებსა და ქიმიური საშუალებებზე. ანტიბიოტიკების როლი და ჩვენება პაროდონტიტის მკურნალობაში. პრაქტიკული ნაწილი: კლინიკური ამოცანების მიხედვით მკურნალობის გეგმის შემდგენა პაროდონტიტის სტადიისა და ხარისხის გათვალისწინებით. ამოღებული კბილების ფესვების ინსტრუმენტირება, ტაქტილური უნარების გამომუშავება.	
9	პაროდონტიტის მკურნალობის ქირურგიული გზა, ღია წესით ფესვების ინსტრუმენტირება, განაკვეთის გაკეთების ტექნიკა, ნაფლეთის მობილიზება. სისხლის კოლტის მნიშვნელობა ქსოვილთა რეგენერაციაში. ნაკერის დადების ტექნიკა, ნაკერის ტიპები- მარტივი ნაკერი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მატრასული ნაკერი. ჭრილობის შეხორცების ფაზები. ჭრილობის მოვლა. სახლის დანიშნულება. პრაქტიკული ნაწილი: ღორის ყბებზე აღნიშნული მეთოდების მეცადინეობა.	5 საათი
10	კლინიკური გვირგვინის დაგრძელება .დარღვეული სუპრაკრესტალურად მიმაგრებული ქსოვილების დროს მიმდინარე ანთებითი პროცესები და მისი აღდგენის ქირურგიული მეთოდები. ღრძილის კორექციის და ოსტეოპლასტიკის ჩატარების ტექნიკები. პრაქტიკული მეცადინეობა: ღორის ყბაზე დარღვეული სუპრაკრესტალური სივრცის აღდგენა. კურსის შეჯამება, სერტიფიკატების გადაცემა.	6 საათი

კურსის ხანგრძლივობა:

საბაზისო კურსი პაროდონტოლოგიაში მოიცავს 10 ლექციას და გრძელდება 5 კვირა. (ლექციები ტარდება კვირაში 2-ჯერ)

მონაწილეების რაოდენობა : 10-14

კურსის ტრენერი



ნინო დათუნიშვილი

პაროდონტოლოგი, პერიოქირურგი

განათლება:

2016 - სუბსპეციალობა: ქირურგიული სტომატოლოგია.

2013-2014- სარეზინდენტო პროგრამა თერაპიულ სტომატოლოგიაში.

2008-2013- თბილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი.

საქმიანობა:

2016 - დღემდე - სტომატოლოგიური კლინიკების ქსელი „დენსი“- ექიმი პაროდონტოლოგი/ პერიო-ქირურგი.

2017-დღემდე- სტომატოლოგიური კლინიკების ქსელი „დენსი“ - სარეზინდენტო მოდულის ხელმძღვანელი.

2016- დღემდე- საქართველოს პაროდონტოლოგთა ასოციაციის- ჯეოპერიოს აქტიური წევრი და ორგანიზატორი.

ITOP - ტრენერი



თათია როხვაძე

პაროდონტოლოგი, პერიოქირურგი

განათლება:

2016 - სუბსპეციალობა: ქირურგიული სტომატოლოგია.

2013-2014- სარეზინდენტო პროგრამა თერაპიულ სტომატოლოგიაში.



2008-2013- თბილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი.

საქმიანობა:

2015 - დღემდე - სტომატოლოგიური კლინიკების ქსელი „დენსი“- ექიმი პაროდონტოლოგი/ პერიო-ქირურგი.

2018-დღემდე- ITOP-ის ოფიციალური ტრენერი საქართველოში

2015- დღემდე- საქართველოს პაროდონტოლოგთა ასოციაციის- ჯეოპერიოს აქტიური წევრი და ორგანიზატორი.



www.geoperio.ge
Kostava 11, Rustavi, Georgia
595 077 382 /599 99 26 26